მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. ახალციხე 17 ოქტომბერი 2022 წელი

შეთანხმების მონაწილეები

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში "უნივერსიტეტი", მისამართი; ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №113), რექტორის, პროფესორ, მაკა ბერიძის სახით და სსიპ - ქალაქ ახალქალაქის N5 საჯარო სკოლა (შემდგომში "სკოლა", მისამართი: ქ. ახალქალაქი, ენგელსის ქ.N47) დირექტორის ნაზენიკ მოსოიანის სახით (შემდგომში "მხარეები"), ისწრაფვიან რა, ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში იღებენ საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1. უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (60 კრედიტიანი) /დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის/ მიმდინარე პროექტების ფარგლებში ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით მხარეები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ:
უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:
ა) მითითებული პროგრამების ფარგლებში სტუდენტების/მსმენელების მიერ სასკოლო პრაქტიკის გავლას/შესაბამისი აქტივობების შესრულებას სკოლაში (დისტანციური და/ან კონტაქტური ფორმით);
ბ) სასწავლო პროცესში დაცული იყოს პროგრამით გათვალისწინებული საათების რაოდენობა;
გ) მიიყვანოს სტუდენტები/მსმენელები პრაქტიკის ობიექტზე (სკოლაში);
დ) გააცნოს სტუდენტებს/მსმენელებს ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით არსებული რეკომენდაციები და იღებს პასუხისმგებლობას სტუდენტების/მსმენელები მიერ აღნიშნულის დაცვაზე.
ე) სკოლის მოსწავლეებისათვის საჯარო ლექციების ჩატარებას სხვადასხვა დარგობრივი დისციპლინების მიხედვით შესაბამისი აკადემიური პერსონალის მიერ.
ვ) აკადემიური პერსონალის მიერ, უნივერსიტეტში არსებული აკრედიტებული მასწავლებელთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სკოლის პედაგოგთა სასერთიფიკაციო გამოცდებისათვის მომზადებას და გადამზადებას;
ზ) სკოლის პედაგოგთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართვას;
თ) უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ, სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეების რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებში და სასწავლო საგნობრივ ოლიმპიადებში აქტიურ ჩართვას.

2. სკოლა უზრუნველყოფს:
ა) უნივერსიტეტის შესაბამისი პროგრამის სტუდენტებს/მსმენელებს პრაქტიკის/სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისათვის ყველა საჭირო პირობით;

ბ) იღებს ვალდებულებას აღნიშნული მემორანდუმით გათვალისწინებულ სტუდენტებსა და მსმენელებ გააცნოს სკოლის შინაგანაწესი;
გ) შინაგანაწესისა და ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით არსებული რეკომენდაციების დარღვევის შემთხვევაში არ დაუშვას სტუდენტი/მსმენელი პრაქტიკის ობიექტზე;
დ) ხელი შეუწყოს მემორნდუმის მიზნების განხორციელებას.

3. მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და პირობები შეიძლება განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.

4. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, რაც გაფორმებული უნდა იქნეს წერილობით.

6. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

7. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთ-ერთი მხარის მიერ შეთანხმების შეწყვეტის წერილობითი ფორმის სურვილის გამოთქმამდე.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ - ქალაქ ახალქალაქის N5 საჯარო სკოლა
მის: ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №113	მის: ქ. ახალქალაქი, ენგელსის ქ. N47
რექტორი:	დირექტორი:
მაკა ბერიძე	ნაზენიკ მოსოიან